ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის სხდომის
ოქმი N01

დაბა ქედა 26 იანვარი, 2022 წელი

სხდომა დაიწყო 12:00 სთ-ზე
სხდომა დამთავრდა 12:30 სთ-ზე

სხდომას თავმჯდომარეობდა მერაბ ნაკაშიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:

ჯიმშერ სამნიძე - კომისიის წევრი
მამუკა გოგოლიშვილი - კომისიის წევრი
ამირან ცინცაძე - კომისიის წევრი
ამირან წულუკიძე - კომისიის წევრი

სხდომას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: გოჩა გათენაძე; დავით სირაბიძე და გოჩა ჟღენტი;

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის წევრთა სარეგისტრაციო ფურცელი

26.01.2022 წელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	მერაბ ნაკაშიძე	კომისიის თავმჯდომარე	
2	ჯიმშერ სამნიძე	კომისიის წევრი	
3	მამუკა გოგოლიშვილი	კომისიის წევრი	
4	ამირან ცინცაძე	კომისიის წევრი	
5	ამირან წულუკიძე	კომისიის წევრი	
6	გოჩა გორგილაძე	კომისიის წევრი	
7	დავით სირაბიძე	კომისიის წევრი	
8	გოჩა ჟღენტი	კომისიის წევრი	

სხდომის თავმჯდომარემ დღის წესრიგი ჩამოაყალიბა შემდეგი სახით.

დღის წესრიგი:

1. ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 1 (ერთი) ერთეული მოძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, თხოვების უფლებით, შპს „ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმო“-სათვის გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
2. ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის 2022 წლის წლიური სამუშაო გეგმა.

მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 1 (ერთი) ერთეული მოძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, თხოვების უფლებით, შპს „ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმო“-სათვის გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

სხდომის თავმჯდომარემ კომისიას წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის მერის მიერ ინიციირებული განკარგულების პროექტი (განცხადების ნომერი: 12-95220244-95; განცხადების თარიღი: 24.01.2022 13:32) ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 1 (ერთი) ერთეული მოძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, თხოვების უფლებით, შპს „ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმო“-სათვის გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

აქვე მომხსენებელმა აღნიშნა, რომ გასულ 2021 წელში საქართველოში იაპონიის საელჩოს მიერ, ადამიანის უსაფრთხოების საგრანტო პროგრამის ფარგლებში, ქედის მუნიციპალიტეტისათვის შეძენილი და საკუთრებაში გადმოცემული იქნა ერთი ერთეული ელექტრო მიკროავტობუსი, 243 000 (ორას ორმოცდასამი ათასი) ლარის ღირებულებით, სახ. ნომრით - UU217GU.

აღნიშნული საგრანტო პროექტის შესაბამისად, მიზანშეწონილია ელექტრო მიკროავტობუსის ექსპლუატაცია განახორციელოს ქედის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულმა შპს „ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმო“-მ, რომელსაც გააჩნია საზოგადოებრივი ტრანსპორტის მართვისა და რეგულირების მრავალწლიანი გამოცდილება. გამომდინარე აქედან, შემდგომი მართვისა და მოვლა-შენახვისათვის ელექტრო მიკროავტობუსი პირდაპირი განკარგვის წესით, თხოვების უფლებით, 5 (ხუთი) წლის ვადით გადაეცეს შპს „ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმო“-ს.

კომისიის წევრებს წარმოდგენილი საკითხის მიმართ არანაირი შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი კენჭისყრაზე დააყენა:

მომხრე: 5.

წინააღმდეგი: 0.

კომისიამ გადაწყვიტა:

მიზანშეწონილად ჩაითვალოს „ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 1 (ერთი) ერთეული მოძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, თხოვების უფლებით, შპს „ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმო"-სათვის გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი საკრებულოს სხდომაზე დამტკიცება.

მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის 2022 წლის წლიური სამუშაო გეგმა.

საკითხთან დაკავშირებით სხდომის თავმჯდომარემ მერაბ ნაკაშიძემ კომისიის წევრებს წარმოუდგინა მიმდინარე წლის წლიური სამუშაო გეგმა და ისაუბრა თითოეული საკითხის განხილვის აუცილებლობაზე:

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის 2022 წლის წლიური სამუშაო გეგმა

	განსახილველი საკითხები და გასატარებელი ღონისძიებები	განხილვის თარიღი	საკითხის განხილვა კომისიის სხდომაზე	საკითხის განხილვა საკრებულოს სხდომაზე	პასუხისმგებელი პირი საკითხის მომზადებაზე
1	ამომრჩეველთან შეხვედრა - მიმდინარე წელში	ყოველთვიურად	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	
2	ქედის მუნიციპალიტეტის მერის მიერ 2021 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ	თებერვალი	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	კომისიის თავმჯდომარე

	ინფორმაციის მოსმენა - განხილვა				
3	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის 2021 წლის IV კვარტლის ანგარიშის შესახებ ინფორმაციის მოსმენა - განხილვა	თებერვალი	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	კომისიის თავმჯდომარე
4	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2021 წლის მდგომარეობით აუქციონის ჩატარების შესახებ ინფორმაციის მოსმენა	მარტი	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	კომისიის თავმჯდომარე
5	შესწავლილი იქნეს მუნიციპალიტეტის ქონების (ადმინისტრაციული შენობების) მდგომარეობა და მომზადდეს შესაბამისი წინადადებები	მარტი	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	კომისიის თავმჯდომარე
6	ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოსაგან ინიცირებული საკითხების განხილვა და შესაბამისი დასკვნების მომზადება	აპრილი	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	კომისიის თავმჯდომარე
7	მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების პერიოდული შემოწმება- მონიტორინგი.	პერიოდულად	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	კომისიის თავმჯდომარე
8	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ აუქციონის ჩატარების შესახებ ინფორმაციის მოსმენა	მაისი	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	კომისიის თავმჯდომარე
9	შესწავლილი იქნეს მუნიციპალიტეტის ქონების (ადმინისტრაციული შენობების) მდგომარეობა და მომზადდეს შესაბამისი წინადადებები	მაისი	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	კომისიის თავმჯდომარე
10	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის 2022 წლის I კვარტლის ანგარიშის შესახებ ინფორმაციის მოსმენა - განხილვა	ივნისი	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	კომისიის თავმჯდომარე

11	ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოსაგან ინიცირებული სამართლებრივი აქტის პროექტების განხილვა და შესაბამისი დასკვნების მომზადება	ივლისი	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	კომისიის თავმჯდომარე
12	მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების პერიოდული შემოწმება- მონიტორინგი.	პერიოდულად	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	კომისიის თავმჯდომარე
13	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ აუქციონის ჩატარების შესახებ ინფორმაციის მოსმენა	აგვისტო	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	კომისიის თავმჯდომარე
14	შესწავლილი იქნეს მუნიციპალიტეტის ქონების (ადმინისტრაციული შენობების) მდგომარეობა და მომზადდეს შესაბამისი წინადადებები	აგვისტო	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	კომისიის თავმჯდომარე
15	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის 2022 წლის II კვარტლის ანგარიშის შესახებ ინფორმაციის მოსმენა - განხილვა	სექტემბერი	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	კომისიის თავმჯდომარე
16	ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოსაგან ინიცირებული სამართლებრივი აქტის პროექტების განხილვა და შესაბამისი დასკვნების მომზადება	სექტემბერი	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	კომისიის თავმჯდომარე
17	მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების პერიოდული შემოწმება- მონიტორინგი.	პერიოდულად	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	კომისიის თავმჯდომარე
18	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ აუქციონის ჩატარების შესახებ ინფორმაციის მოსმენა	ოქტომბერი	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	კომისიის თავმჯდომარე
19	შესწავლილი იქნეს	ოქტომბერი	კომისიის	საკრებულო	კომისიის

	მუნიციპალიტეტის ქონების (ადმინისტრაციული შენობების) მდგომარეობა და მომზადდეს შესაბამისი წინადადებები		სხდომაზე	ს სხდომაზე	თავმჯდომარ ე
20	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის 2022 წლის III კვარტლის ანგარიშის შესახებ ინფორმაციის მოსმენა - განხილვა	ნოემბერი	კომისიის სხდომაზე	საკრებულო ს სხდომაზე	კომისიის თავმჯდომარ ე
21	2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტის განხილვა	ნოემბერი	კომისიის სხდომაზე	საკრებულო ს სხდომაზე	კომისიის თავმჯდომარ ე
22	ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოსაგან ინიცირებული სამართლებრივი აქტის პროექტების განხილვა და შესაბამისი დასკვნების მომზადება	დეკემბერი	კომისიის სხდომაზე	საკრებულო ს სხდომაზე	კომისიის თავმჯდომარ ე
23	ამომრჩეველთან საჯარო შეხვედრა და ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის საქმიანობის შესახებ ანგარიშის წარდგენა	დეკემბერი	კომისიის სხდომაზე	საკრებულო ს სხდომაზე	კომისიის თავმჯდომარ ე
24	მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების პერიოდული შემოწმება- მონიტორინგი.	პერიოდულად	კომისიის სხდომაზე	საკრებულო ს სხდომაზე	კომისიის თავმჯდომარ ე

კომისიის წევრებს წარმოდგენილი საკითხის მიმართ არანაირი შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი კენჭისყრაზე დააყენა:

მომხრე: 5.

წინააღმდეგი: 0.

კომისიამ გადაწყვიტა:

მომზადებულად ჩაითვალოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის 2022 წლის წლიური სამუშაო გეგმა და საკითხი ჩაითვალოს მიზანშეწონილად საკრებულოს ბიუროს სხდომაზე გასატანად.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა 12:30 სთ-ზე დახურულად გამოაცხადა და მადლობა გადაუხადა დამსწრეთ.

კომისიის თავმჯდომარე ნერაბ ნაკაშიძე

ოქმი შეადგინა:
საკრებულოს აპარატის პირველი
კატეგორიის უფროსი სპეციალისტი
კომისიებთან ურთიერთობის საკითხებში ციური ზაქარაძე